საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 7

2010 წ. „16“ 12

ქ. თბილისი

შპს - სამედიცინო ინსტიტუტი „ქუთაისისათვის" ავტორიზაციის გაუქმების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის №1 სხდომის ოქმის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - სამედიცინო ინსტიტუტ „ქუთაისს" გაუუქმდეს ავტორიზაცია 2010-2011 სასწავლო წლის შემოდგომის (მიმდინარე) სემესტრის დასრულებისთანავე.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2010 წლის 16 დეკემბრის №1 სხდომის ოქმის მე-7 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარე

კახი ყურაშვილი

საბჭოს მდივანი

გაიანე სიმონია